

140  
1938

# Зоотехно

ଓଡ଼ିଆରେଣ୍ଟାଲ  
ପୁଶ୍ପପତ୍ରମାଳା



1938

ନେତ୍ର



# კიონგრესი

საქ. ალექ ცეცხალური კომიტეტისა და  
საქ. განსახოვის მინისტრის უფლის უფლის

1 ა რ ი ლ ი 1938 წ.

No 4

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი“. რედაქციის მისამართი თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ.—3—02—61.

## ტბილისი

83.

1. 0. გრიბოედოვი,—მესაზღვრის სიძლერა (ლექსი) . . . . .	1
2. 3. გლობოვი,—ნაფოტი (მოთხოვბა—თარგმანი გრ. ცხვედიანისა) .	2
3. ბ. ივანოვი, — სტალინის სამშობლოში (ნარკვევი—თარგმანი ნინო ნაკაშიძისა) . . . . .	5
4. იოსებ ნოვაზვილი,—ლეილა კიროვის ბაღში (ლექსი) . . . . .	8
5. გიორგი კაჭახიძე,—გაზაფხული (ლექსი) . . . . .	9
6. ლავრენტი პიონერი,—ჯირითი (მოთხოვბა) . . . . .	10
7. ნიკოლოზ ნაგრელი,—სომხეთის დიდი მგოსანი (წერილი) . . . .	14
8. ოვანეს თუმანიანი,—ნაკადული (ლექსი თარგმანი სანდრო ულენტისა) . . . . .	15
9. დავით შავათავა, — გიორგი ჭალადიდელი (წერილი) . . . . .	16
10. თამარ შავაჩავალი, — სიძლერა სტალინზე (ნოტი) გარეკანის მე-3 გვ.	
11. რამლენი ნახატია, (გასართობი) . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.
	83.

უფრონალი გაფორმებულია მჩატვარ—ი. ქოქიაშვილის მიერ

# მუსაბლივის სიმღერა



○ კომისამარტინი

I

ჩვენ არ გვინდა მსხვერპლი, ომი,  
მტერი ცოფს ყრის სისხლის მდომი,  
სურს შელახოს მთა და გორი!

ერთი-ორი! ერთი-ორი!  
თუ დააღო მგელმა ხახა  
და საზღვარი გადმოლახა,  
მოიქნია ჩვენებ ტორი,  
ერთი-ორი! ერთი-ორი!  
როგორც წინათ, ახლაც ისევ  
ჩვენ მოვუგრებთ ვერაგს კისერს,  
დავეცემით, როგორც ქორი!  
ერთი-ორი! ერთი-ორი!

II

ფრთხილად, ძმებო! შინ და გარეთ  
საზღვრებს კარგად მოუარეთ  
და გმირების გახდით სწორი!

ერთი-ორი! ერთი-ორი!  
ნუ დაგდათრობს გამარჯვება,  
მგლის ღმუილი არა სცხრება,  
იმუქრება მტერი შორით.  
ერთი-ორი! ერთი-ორი!  
თვალი მარჯვედ, ყური მარჯვედ,  
და ყოველთვის გავიმარჯვებო!  
ერთი-ორი, ერთი-ორი!  
ერთი-ორი! ერთი-ორი!



# ხაფუძი

(მესაზღვრეთა ეპიზოდი იდან)

გუშაგისაგან თხუთმეტი შეტრის დაშორებით შეჩერდა მოხუცი, რომელსაც გადაკიდებული პქნდა სანადირო თოფი და რამდენიმე მელის ტყავი.

— მე უფროსის ნახვა მინდა, — თქვა მონადირემ და ცნობისმოყარეობით შეხედა გუშაგის.

გუშაგმა ნიშანი მისცა საგუშაგოს. მთის იქითა ფერდობიდან გამოჩნდა მორიგე.

— ჩენთანა ხარ? — პქითხა მან მოხუცს.

— დიალ, თქვენთან, საქმეზე ვარ მოსული.

მოხუცმა ამოილო უბიდან ნაფოტი და მისცა მორიგეს.

— აი, წაიკითხეთ.

ნაფოტი დაუწვავ მუგუშალს ჰევდა. მასზე მოჩანდა არარუსული ასოები. მორიგე დიდხანს კითხულობდა ნაფოტზე დაწერილს. მალე მოხუცი საგუშაგოს უფროსთან იჯდა და უამბობდა:

— ავიღე ეს ნაფოტი, ვუმზე: წარწერაა მასზე. ჰოლა, ვფიქრობ: საქმე რაღაც სხვანაირადაა, წაკითხვა კი არ შემიძლია. გავითქმე: წავალ მეთქი საგუშაგოზე, იქ წაიკითხავენ...

ჰოლა, აი, მოვედო კიდეც.



საგუშაგოს უფროსი დაფიქრებული წამოდგა სკმიდან. ის დიდხანს დადიოდა კუთხიდან კუთხეში, შემდეგ მიუჯდა მოხუცს:

— ბანდიტი გადმომარულა საზღვარზე, — დალონებულმა წარმოთქვა მან. — იგი ამ ნაფოტზე წერს იმ ადგილის შესახებ, სადაც უნდა შეხედეს სხვა ბანდიტებს. როგორც ჩანს, მოსალოდნელია დიდი ბანდის გადმოსელა.

— ააა, როგორ ყოფილა საქმე. მეც ვითიქრე, ვის უნდა დაეწერა მეთქი ამ ნაფოტზე?! მაშ ასე... რა უნდა ვწერა ახლა?

— ახლა უნდა ვიმოქმედოთ! — დაბეჯითებით უთხრა უფროსმა. — შეგიძლია მონახო ის ადგილი, სადაც ეს ნაფოტი აიღე?

— რასაკირველია, შემიძლია.

არხიბიჩმა (ასე ეძახდენ მას) აილო ფანქარი და მარჯვედ დაიწყო ტეხილი ხაზების გავლება ქალადის თეთრ ფურცელზე.

— ეს ტბის ახლოსაა, — განმარტა მან, — ულეტეხილი ხომ იცით? იქ ავიღე ნაფოტი.

სალამოს მეგზური ლუტინი და ორი მესაზღვრე ცხენებით გაემართნენ მთებში. მათ წინ მიუძღვდა არხიბიჩმა, რომელსაც მხარზე ეკიდა თავისი ორლულიანი თოფი.

\* \*

მესაზღვრე ვოლკოვი, რომელსაც ერთი დღელამე ემორიგა, ისვენებდა. მას მაგრად, ეძინა და ცხვირით უსტვენდა. მეათე საათზე მასთან მიყიდა მორიგე იუდინი, რომელიც დაიხარა და ყურში ჩუმად ჟოხრა:

— ადექი.

ვოლკოვმა თვალები გაახილა.

— რა მოხდა?

— არაფერი არ მომხდარა, ჩაიცვი და ახლავე გასწი საგუშაგოს უფროსთან.

— არას!

ერთი წუთის შემდეგ ვოლკოვი საგუშაგოს უფროსის წინაშე იდგა. უფროსმა საწერი მაგიდის უჯრიდან ამოილო ნაფოტი და მიყიდა კედელთან, სადაც ეკიდა სასაზღვრო დიდი რუკა.

— ია, აქ, — უჩენა რუკაზე უფროსმა, — აქ გაიარა საზღვარზე გადმოპარულმა ბარბოშმა, როგორც მისი ხელმოწერილია ჩანს. მან ტბის ნაპირზე დატოვა ის ნაფოტი. მე იქ გავვჩავნე მზერავები. თქვენი ამოცანაა მონახოთ ბარბოში და შეიძყროთ იგი, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ.

— გასაგებია, ამხანაგო უფროსმ!

— ყოველივე მონაცემით, ბარბოშს განზრახვა შექნია შარავზე გაეიდეს. მაშასადამე, ქებნა უნდა დაიწყოთ ულელტეხილიდან. წაიღით სურსათი, წაიყვანეთ ჯეკი და გაემგზავრეთ.

— არის! ნებას მაძლევთ წავიდე?

— ინებეკ.

მთებში გაითნდა. ვოლკოვმა გადალახა ულელტეხილი და ტბას უახლოვდებოდა. განვლილმა ლაშე საქმაოდ მოქანცა იგი. ოქტომბრის დიდი მზე უკანასკნელ დღეებში პირველად გამოჩნდა ჰორიზონტზე. თოვლი დნებოდა. თვალშინ კამქამებდა სილურჯე. აღამიანის ნაკვალევი ხან გაქრებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ტბის ახლოს კვალი მთლად გაქრა, და ძალიც იქით აღარ წავიდა.

— საჭმე ვერაა კარგად, თქვა თავისითვის ვოლკოვმა და ფიქრებში გართული ჩამოჯდა ჯირკზე.

ირგვლივ უდაბურობა და უკაცრიელობა სუფევდა, მხოლოდ მთების მწვერვალებზე იშვიათად გადაიტენდნენ ხოლმე ირმები და მოისმოდა ტყის გუვუნი.

უცებ ვოლკოვი წამოდგა, გაფაციცებით მიმოვლო თვალი გარშემო, დაუყვირა ჯეკს და ტბას მიაშურა. ზედ ტბის ნაპირზე შეამჩნია მან კაცის ფეხის უკანასკნელი კვალი, რომლის ნახევარი უკვე წალევილიყო წყლით, ხოლო მეორე ნაწილი მოფარული იყო თამბაქოს წმინდა მტვერით. ჯეკმა დაწუნა კვალს, ჩაიფრთხევინა, შემდეგ დაყუნცდა დახმაღლდა დაიყეფა.

თვალის დახამხამების უმაღ შევარდა ძალი ტყეში. ვოლკოვი მიჰყვებოდა ჯეკს, ფრთხილად იხედებოდა იქეთ-იქით. მან მაღე შეამჩნია სამი პატარა ბილიკი. ბილიკები სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. ჯეკი გაეშურა მარჯვნივ, შემდეგ ერთბაშად მოუხვია და უკან გამოქანდა პირველი კვალით. ისინი შეჩერდნენ პატარა მაღალ ხესთან. ჯეკმა დაწუნოსა ირგვლივ, ასწია თავი და დაიყეფა. ვოლკოვმა აიხედა, და იმავე წამს გაისმა სროლა.

ვოლკოვი დაეცა. ხელები ფართოდ გაშალა, ის თითქოს მოეხვია მიწას და არ უნდოდა მისი მიცემა.

ჯეკი საშინელი ყეფით დარბოდა კედარის ირგვლივ. საზღვრის გადმომლახველმა რამდენიმეჯერ ესროლა ჯეკს, მაგრამ ყოველთვის ააცდინა. მაშინ მან გადაწყვიტა ტაქტიკის შეცვლა.

— ნაცარა, ნაცარა! — ალერსიანად დაუძახა ძალლს ბარბოშმა.

ჯეკი შედგა.

კედარის ტოტებზე ხელის მოქიდებით ბარბოშმა გაბედულად იწყო ძირს ჩამოსვლა. ის იყო გა-

ნიური და მკვრივი ვაჟეაცი. მისი ქუდიდან გამოშლილიყო შეჭალარავებული დახევული თმები, ლოკაზე ეტყობოდა მოგრძო ნაპრილობევი. ჯეტრენერა ნელა უახლოვდებოდა კედარს. მას თვალზე მარტინუს ხლით დაებერა, ტუჩები უთროთოდა. შემდეგ მძლავრად გადახტა და მტერი წააქცია.

გაისმა სროლა. იჩხრიალა სისხლმა. დაჭრილი ძალლი უკან არ იხევდა. მან ხელში ჩაავლო პირი საზღვრის გადმომლახველს, და შავი მაუზერი განზეგადავარდა.

— ნაცარა, ნაცარა! — ეძახდა ძალლს ბარბოში.

მას სახე ტკივილებისაგან მოეტრიცა. ის ძალოდ ცდილობდა გამოეგლიჯა ხელი ძალლის ყბებიდან.

ჯეკი არ ეშვებოდა. იგი ტანსაცმელს უგლეჯდა, კბილებს ძალაპუნებდა, ულრენდა და, ბოლოს, ღრმად ჩასო ყელში თავისი ბასრი კბილები.

საზღვრის გადმომლახველი კრუნჩევით გაიჭიმა.

ტყეში კვლავინდებურად მყუდროება იღვა.

გააფთოებული, მთლად გასისხლიანებული, ბალანაბურძენული ჯეკი მივიდა ვოლკოვთან. მებრძოლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მან გაახილა თვალები, ძლიერდივობით წმილდგა მუხლებზე, მაგრად მოეხვია ძალლს აბურძენულ კისერზე და გრძნობა-მიხდილი კვლავ გაიშხლართა მიწაზე.

\* \*

საღამო იყო. მოვარის ყვითელი სინათლე ეღვრებოდა კლდეთა მაღალ მწვერვალებს. მესაზღვრენი ტბას უახლოვდებოდნენ. აჩხიპიჩა ბუჩქნარებისაკენ მოუხვია და ცხენიდან ჩამოხტა. ხეობიდან თრიტელი ამოდიოლა. ირგვლივ ეყარა ფესვებამოყრილი ბალახფიჭვები და კედარები. ძირს შეუილი გაპქონდა მდინარეს. ცხენებმა წყლის სიახლოე იგრძნეს და დაბლობისაკენ ეშურებოდნენ.





— აი, მოველით კიდეც, — დაღლილად წარმო-  
თქვა არხიპიჩია, რომელიც მოსართავებს უშვებდა  
ცხენს.

— უკვე?

— მაშ, მაშ. ჩვენ აქ დაგტოვებთ ცხენებს, თვი-  
თონ კი იქით წავალთ.

— გასაგებია.

მესაზღვრენი ხეობით მივიღნენ ტბასთან და დაიმა-  
ლენ იმ ქვასთან, რომლის ახლოსაც აღლო დილით  
არხიპიჩია ნაფორტი.

მომქანცაგი ლოდინის წუთები გრძელდებოდა.  
მესაზღვრენი პირდაპირ თოვლზე იწვენენ. ფეხები  
უყინებოდათ. თბილ ქურქებშიც სიცივე ატანდა. წა-  
მოდგომა სურდათ, გავლა-გამოვლა, გახურება, მა-  
გრამ ყველანი ხმაამოუღებლივ იცქირებოდნენ წინ.  
მათ მოეჩვენათ, რომ სადღაც, შორს, წინ, მოიპარე-  
ბა კაცი. მაგრამ არა, ეს იყო თვალის ცდუნება.  
ირგვლივ კვლავ უდაბური სიწყნარე იყო.

ლამე თავდებოდა. კედარებისა და ბალახფიჭვე-  
ბის შტოებში ოდნავ შემოანათა განთიადმა. ქარი  
ჩადგა. დილით სიმყუდროვე დამყარდა.

უცებ, სადღაც სულ ახლოს, მოისმა ფრთხილი  
ნაბიჯები. წინ, ოდნავ შესამჩნევად, შეორება ბუჩქი.  
მალე იქიდან მალვით გამოვიდა მაღალი ჭავი. იგი  
თითქმის ხოვით მიუახლოვდა ქვას და შის სიახლო-  
ვეს მიწაზე ხელის ფათურით რაღაცას დაუწყო  
ძებნა.

— დაწექი! — გაისმა წყნარი, მაგრამ მრისხანე  
ხმა. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ საზღვრის გა-  
დმომლახველმა დაკარგა ყოველგვარი თავშეკავების  
უნარი. მან დაიყვირა და, მთელი ტანის აცახცახე-  
ბით, ნელა წაიღო ხელი მაუზერისაკენ.

თვისი ღონიერი და მსხვილი ხელები მესაზღვრე-  
ებმა ერთბაშად გაზიგით მოუჭირეს მას.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ კვლავ გაინძრა ბუჩქი.  
იქიდან კიდევ მოდიოდა კაცი. ისიც რაღაცას ეძე-  
ბდა ქვის სიახლოვეს, მაგრამ, როგორც პირველი,  
ისიც, მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული, შე-  
ბოჭეს და დააგდეს.


დილამდის მოვიდა ცამეტი. მესაზღვრებმა ტყვი-  
ის გაუსროლელად დაამთავრეს მძიმე ოპერაცია. სა-  
გუშაგოს უფროსის მიერ დავალებული ამოცანა სავ-  
სებით შესრულდა.

მოზრდილი შეიარაღებული ბანდა მთლიანად  
დატყვევებულ იქნა, ერთი კაციც კი არ წასვლიათ.

\* \*

საზღვრის გადმომლახველნი დღისით გადმოჰყა-  
ვდათ საგუშაგოში. ცხენზე მჯდომი არხიპიჩი ახლა  
მათ უკან იყო. მას თან მოჰყავდა აგრეთვე ორი ცხე-  
ნი, რომელთაც ეკიდა გადმომლახველთა ბარგი.  
ულელტეხილთან ჯერ კიდევ არ იყვნენ მისულნი,  
რომ დაინახეს ამასწინათ მომხდარი შეტაკების აღ-  
გილი. ზედ კედარის ძირთან ეყარა ორი გაშლა-  
რთული კაცის გვამი. მეომარ ვოლკოვის ცხედართან  
იჯდა ჯეკი. მას მაღლა აეწია თავი და მაღალი, შე-  
მზარავი ხმით ყმუოდა.

თარგმანი გრ. ცხველიანისა



# სტარინის სამშობლოში

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი ნ ა რ კ ვ ე ვ ი დ ა ნ)

## სასულიერო სასწავლებელი

სასულიერო სასწავლებლის შენობა, საუცხოო შენობა ძველი გორისათვის, ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში გამოიცვალა. 1920 წელს მომხდარმა მიწისძგრამ, რომელმაც დაანგრია ნახევარი გორი, დაანგრია სასწავლებლის მეორე სართული და სასწავლებლის ეკლესიაც. სასწავლებელში კი, მატრის მღვდლების შვილების მაგივრად, სწავლობენ გორელი ბავშვები. შიგ მოთავსებულია საბალბოსტნო ტექნიკუმი. ტექნიკუმს უკავია მთელი შენობა მხოლოდ ორი ოთახია დატოვებული იმ დროის სამასოვროდ, როდესაც აქ სწავლობდა ბავშვობისას სტატია.

ერთ ოთახში კედელზე ჰქილია ბავშვების ჯგუფის ფოტოსურათი. იმათში, უკანასნელ მწერივში, დგას ყველაზე უმცროსი — თავაწეული სოსო ჯუღაშვილი. გამბედავი და შამაცი სახე აქვს. სახეს თუ დაკვირდებით, დაჩრუნდებით, რომ არა თუ გამბედავი, თავგამეტებულიც არის. ამბობენ, რომ გორში ერთი ცნობილი ნაგიუარი მეეტლე ყოფილა. მას პყოლია ორი სრულიად გადარეული ცხენი. ერთხელ, თურმე, ამ ცხენებშებმულ ეტლს მიაქროლებდა გორის ქუჩებში და თავზარს სცემდა გამვლელებს. აი, სწორედ ამ ეტლს გამოსდგომია სო-

სო ჯუღაშვილი, რომ შემხტარიყო ეტლის საფეხურზე. ის-ის იყო დაწია ეტლს, მაგრამ უხერხულად შეხტა, ეტლის გოგრების ქვეშ ჩავარდა და კინაღამ დაიღუპა. ცნობადაკარგული მიიყვანეს შინ. ეს შემთხვევა ძალიან ძვირად დაუჯდა მის დედას. შემდგომ სოსომ ისწავლა თავის შეკავება.

მშვენივრად სწავლობდა. ყველა ბავშვი გააკვირვა იმან, რომ მეწარის შვილმა, შემოვიდა თუ არა საშუალო მოსამზადებელ კლასში, სასულიერო სასწავლებელში პირველი ადგილი დაიჭირა და სკოლის გათავებამდის ადგილი არავისთვის არ დაუთმია. სწავლა კი ამ სასწავლებელში ადვილი არ იყო. ამ სკოლაში რომ შემოდიოდნენ, მოწაფეებმა ქართული ენის გარდა არავითარი ენა არ იცოდნენ. სკოლაში კი რუსულად ასწავლიდნენ, მაგრამ პატარა ჯუღაშვილს სწავლა ადვილად ეხერხებოდა. გას სრულიად არ სჭირდებოდა შინ ზეპირი გაკვეთილის მომზადება, ისე კარგად იმახსოვრებდა სკოლაში ახსნის დროს.

მასწავლებლები — „დერიმორდები“<sup>1</sup> მოწაფე ჯუღაშვილს ხუთებს უსამდნენ და ამას გარდა კიდევ საწერ სამუშაოს არშეიბზე აწერდნენ: „ყოჩალ!“ „საუცხოოა!“

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი

ორმოცი წლის წინათ, 1894 წელს, გადაღებული განვითარებული ფოტო პირისპირ გვაყენებს სასულიერო სასწავლებლებისა და ხელმძღვანელების წინაშე.

აი ინსპექტორი ბუტირსკი. დაბიუნებული სახით, გაბურგვნილი წვერით, სასწავლებლის მთავარი ობერ-ჯაშუში და ბერძნული ენის მასწავლებელი. მას ბინა უფროსი კლასების გვერდით ჰქონდა, და ეს უწყობდა ხელს ეჯამუშა უფროსი კლასის მოწაფეებზე.

ბუტირსკი შავრაზმელი იყო. ქართველები ჭირვით სძულდა და ველურებს ეძხდა, თანაც არ გაუშვებდა შემთხვევას, რომ მასხარად არ აეგდო ქართველი მოწაფეები. ერთხელ იმ ზომამდის მიიყვანა ერთი მოწაფე პეტრე ადამიშვილი, რომ მან ველარ მოითმინა და თავისი წიგნებით სავსე ჩანთა სახეში ისთხლიშა. გაუგონარი ამბავი მოხდა. სასულიერო სასწავლებელში, სათონების გამავრცელებელ დაწესებულებაში, მოწაფე ხელით შეეხო მასწავლებელს.

პეტო რომ სასწავლებლის საბჭოს წევრის შეილი არ ყოფილიყო, პოლკის ყოფილი ხუცესის, რომელიც მთელ ეპარქიაში სახელგანთქმული იყო, იმავე დღესვე გამოაგდებდნენ მგლის ბილეთით<sup>2</sup>) თვითონ, სასწავლებლისთვისაც ხელსაყრელი იყო მიეჩემალათ ეს საქმე და სასწავლებლის ღირსება არ შეელახათ. პეტო ადამაშვილი სამ დღეს კარცერში დამწყვდევით გადარჩა და მამამაც კარგად მიბერტყა თავისი ხუცური განიერი ტყავის ჭამრით.

მოხდებოდა, რომ მოწაფეები შურს იძიებდნენ მასწავლებლებზე, რომლებიც არ უყვარდათ, და ფანჯრებს ჩაულეშავდნენ ბინებში. პეტომ კი სხვანაირად იძია შური.

<sup>1</sup> გოგოლის ნაწარმოების გმირი პოლიციელი.

<sup>2</sup> მდგრადი ბილეთით გაძევებულ მოწაფეს არცერთ სკოლაში არ ლებულობდნენ.

ბუტირსკიმ კარგად არ იცოდა თავისი საგანი და ცუდად ასწავლიდა ბაგშვებს. მოწაფეები მოწყენილები ისხდნენ მის გაკვეთილზე. სძულდათ ბერძნული ენა, ყოველნაირად ცდილობდნენ თავი დაელწიათ და არ ესწავლათ. მხოლოდ ჯულაშვილი არ იგდებდა ამუჩად ამ უნიჭო პედაგოგის გაკვეთილებს. უნიჭო იყო პედაგოგი, ენა კი თავისთავად საინტერესო. მოქლეხანში მოწაფე პედაგოგზე უკეთესად ერკვევდა და ამიტომ მალე მიხდა, თუ რამდენჯერ ცდებოდა ეს უბედური მასწავლებელი.

მოქლეხანში, პეტოსთან მომხდარი ისტორიის შემდეგ, ბუტირსკიმ გამოიძახა დაფასთან სოსო ჯულაშვილი და დაუწყო გაკვეთილის გამოკითხვა. ჯულაშვილმა უპასუხა.

— ძალიან კარგი, დაჯექი შენ იდგილას, — დაუქნია თავი ბუტირსკიმ და უნდოდა რვეულში ხუთი დაესკა.

მაგრამ ჯულაშვილი არც კი ფიქრობდა თავის ადგილას დაჯდომას. სრულიად არ ფიქრობდა, რომ ძალიან კარგად უპასუხა. სიმართლე რომ ვთქვაოთ, სხვაგვარი განმარტება უფრო სწორი იქნებოდა.

— არაა საჭირო, არა, დაჯექი, — აწყვეტინებს სიტყვას ბუტირსკი. მაგრამ ჯულაშვილი არ ცხრება, სწორედ და უშეცდომოდ, რიგრიგობით უხსნის კლასს ბუტირსკის ყველა შეცდომას. ბუტირსკი იღმიჟება, არ იცის რა ქნას. სოსო ჯულაშვილი უსაყვედურებს, როგორც მოწაფეს, რომელმაც გაკვეთილი არ იცის. ვინ არის აქ მასწავლებელი, თვითონ ბუტირსკი, თუ ეს ბიჭი, რომელიც არცხვენს მას მთელი კლასის წინაშე!

— გარა! — დაუყვირა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა, გაბრაზებულმა ელინისტმა.

ამით ელინისტის ტანჯვა არ გათავებულა. სოსომ წინდაწინ მოამზადა ახალი, ჯერ კიდევ აუხსნელი გაკვეთილი მასწავლებელზე უკეთ. ბუტირსკის თანდათან ავიწყდებოდა, რასაც ოდესლაც უნივერსიტეტში ასწავლილნენ, გაკვეთილებისათვის არა-

სოდეს არ ემზადებოდა და ახლაც გაიღებული დარჩა.

შეილის საქციელმა აღამაშვილის მიზანი დაუდინაოდ წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საჭირო იყო როგორმე მოეგვარებინა ეს საქმე. გადაწყვიტა საღილი. გაემართა და ყველა მასწავლებელი მოეწვია. პირველ რიგში, რასაკვირველია, მისი შვილის მიერ შეურაცყოფილი ივანე ვასილისძე ბუტირსკი იყო მოწვეული.

ბუტირსკი უტლით მობრძანდა, მაგრამ ეტლი არ გაუშვა და უბრძანა აივანთან დაეცადა. საქართველოში სადილები და წვეულება, ღვინითა და გრძელი სადღეგრძელოებით, დიდხანს გრძელდება. ივანე ვასილისძე მოსუვენრად იჯდა და ხშირად უყურებდა საათს. სადილი ჯერ კიდევ არ გათავებულიყო, რომ წისასვლელად ადგა.

შეა სადილობისას წასულა ხომ მასპინძლის შეურაცყოფა. აღამაშვილის მამა ფიცხი და ცხარე კაცი იყო, იფიქრა ბუტირსკის არ უნდა შერიგებაო.

რომ ჩხუბი არ გამოეწვია, ბუტირსკი იძულებული გახდა აეხსნა თავისი წასელის ნამდვილი მიზეზი.

აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი მოწაფე ჯულაშვილი იყო, რომელმაც წესად დაისახა ჩაეჭრა მასწავლებელი და აიძულებდა ისე მომზადებულიყო ყოველი გაკვეთილისათვის, როგორც სახელმწიფო გამოცდისათვის.

— ბრწყინვალე ნიჭის პატრონი ბიჭია, მაგრამ საძაგლადა აღზრდილი, ეშვაკობა იცის, რას არ ფიქრობს თავისთავზე. გთხოვთ მაპატიოთ, მშვიდობით, ბატონებო.


სკოლის ანალებში დაცულია, თუ როგორ დასკინოდა სოსო ჩინოვნიკ-მასწავლებლებს. ბუტირსკისთან დაკავშირებით იგონებენ მეორე ელინისტს გარტინსკის, რომელიც სემინარიაში ასწავლილა. გარტინსკი ბუტირსკის ორეული იყო, ისეთივე შავრაზმელი უკარგისი პედაგოგი. თბილისის სემინარიაში ერთ საკონტროლო წერის გაკვეთილზე სოსო, იმის მაგიერ, რომ დაფაზე დაწერილი ფუქიდიდისა და ეხობის ტექსტები გადმოეთარგმნა სემინარიის ბეჭედდაჭრულ საკონტროლო ქალალის ფურცელზე, ყურძნის ფოთლებისაგან სახეების ხატვას შეუდგა. გვერდით მჯდომ ამხანაგს გაეცინა, სოსოს ნახატს რომ შეხედა საკონტროლო ფურცელზე. სოსომ კი ყურძნის ფოთლებს შორის, სახეებიანი ასოებით ჩამწერა ქართული ზღაპრის „ჩიტი და მელიას“ დასაწყისი:

„ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!“

„რაო, ბატონო მელიაო?“

თითქმის მთელი საათის განმავლობაში ხატავდა სოსო საკონტროლო ქალალზე და მხოლოდ ზარის დარეკამდის ხუთი წუთით წინ აუჩქარებლად ჩაწერა შიგ თარგმანი.

— შენ ხომ არ გაგიფი, სოსო, — უჩურჩულა მას ამხანაგმა, — ქალალდი ხომ გაფუქებულია, მოდი, ვითხოვ შენთვის ახალ ფურცელს.



ქალაქ გორის ძველი ნაწილი.

— არაუშავს, — მიუვი სოსომ, — გარტინსკისთანა  
ვაუბატონებისათვის ესეც ბევრია.

ორი კვირის შემდეგ გარტინსკიმ დააბრუნა საკონტროლო ნამუშევარი. ბრწყინვალედ შეაფასა იოსებ ჯულაშვილის ნაშრომი და განსაკუთრებით შეაქო იმისათვის, რომ საკონტროლო ფურცელზე მან ალადგინა ოერმობილს კარები ძველი ბერძნული წარწერებით.

სოსომ ხუთი მილო.

აი კიდევ სასულიერო სასწავლებლის გასწავლებელი. ფოტოგრაფიული სურათიდან იცქირება დაღვრემილი, პირქუში წვეროსანი,—ეს გათხმატიკოსი და გეოგრაფიის მასწავლებელი მიხეილ ივანესძე ილურიძეა.

საკლასო ჟურნალში მისი სვეტები, საგსეა ერთებით და მელნით არის გათხუპნული. მოწაფის გამოკითხვის დროს კალამი მახვილივით ჰქონდა აღმართული მოწაფის თავზე, და საკმაო იყო მოწაფე შეყოფანებულიყო, რომ მელნის შხაპუნით ჩაჯდაბნიდა ჟურნალში მსუქან ერთს, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ შეეძლო ოთხად გადაეკეთებინა. იცოდა და თუ არ იცოდა მოწაფემ გაკვეთილი, ამას ხშირად არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. ილურიძე არ იყო ბავშვების მოძულე, მაგრამ თავისი; მის მიერ გამოგონებული აღზრდის სისტემა ჰქონდა.

ერთი მოწაფე გიორგი ელისაბედაშვილი ერთ-  
ხელ, თავის საუბედუროდ, მოვიდა სასწავლებელში  
და გულზე მამის საათი ჰქონდა გაკეთებული, ვერცხ-  
ლის გრძელი ჯაჭვი გაება მთელ მქერდზე და ამა-  
ყად დაღიოდა, თავს იწონებდა ბავშვების წინაშე.

ეკრ მოისაზრა ილურიძის გაკვეთილის დროს  
ჯაჭვი მოეძრო და მწარედ დაისაჯა ამისათვის.  
ილურიძემ დაფასთან გამოიძახა ელისაბედაშვილი  
და როდესაც მოწაფის გულზე ბრჭყვიალა. ჯაჭვი  
დაინახა, წვეროსანი ერთხანს ჩუმად იყო და გაბო-  
როტებით შესცემულა, მერმე კი დაიღრიალა რაც  
ძალ-ლინე ჰქონდა:

— ვინა ხარ, შე უბეღურო, მეეტლე—მეეტლე  
არა ხარ, კინტო—კინტო არა ხარ, მოწაფე—არც  
მოწაფე ხარ, ეშმაჭმა იცის შენი თავი! გაეთრიე კლა-  
სიდან ახლავე! — და არაფერი არ უკიოხავს, ისე დაუს-  
ვა ერთი.

პეტო ადამიშვილს ცუდი პასუხისმარევის მან ნო-  
ლი დაუსვა უურნაღლში. საწყალი პეტო ცდილობდა  
გაესწორებინა ნიშანი და განაგრძობდა რაღაც ლულ-  
ლულს. მაგრამ ყოველ წარმოთქმულ სიტყვაზე პე-  
დაგოგი ნოლს გამოკლებას უწერდა. დაბოლოს  
ნოლს ექვსი თუ შეიძიო გამოკლება მიაწერა.

აქ მოწაფებმა ველარ მოითმინეს და დაუწყეს პედაგოგს იმის მტკიცება, რომ ნოლი ნოლია და ნოლისაგან რამის გამოკლება სრულიად უმნიშვნელოვანია.

ამ უცნაურ პედაგოგს ერთხელ სოსომ ბრძოლა  
გაუშართა. ილურიძე ახალ გაკვეთილს უხსნიდა მო-  
წაფეებს. ახსნის დროს მალინინისა და ბურინინის



სოსო ჯუღაშვილი. (14 წლისა)

სახელმძღვანელოდან ამოკანის გამოყვანას შეუდგა. ამოკანა როგორლაც არ გამოდიოდა და მიღებული პასუხი სახელმძღვანელოს პასუხს არ ეთანხმებოდა. ასეთი შემთხვევა შეიძლება მოუხდეს თავის საგნის მცოდნე მასწავლებელსაც. რამდენადაც მეტად აცივ-დებოდა ილურიძე ამ უკულმართ ამოკანას, რამდე-ნადაც მეტს ურტყაყადა და ამტრევედა ცარცს და-ფაზე, მით უფროდაუფრო იბნეოდა და ბოლოს გა-მოაცხადა, ამ ამოკანის გამოყვანა არ შეიძლება, სახელმძღვანელოში შეცდომით არის დაბეჭდილი, ან მალინინი და ბურქინინი სტყუიანო.

აქ კი სოსო ჯულაშვილი მაღლინინისა და ბურენინის დამცველად გამოვიტა, ის მიუიდა დაფასთან და მთელი კლასის აღტაცებულ ჩურჩულში შეუძლებელი შესაძლებლად გახადა — ამოცანა გამოიყენა. ილურიძე შეიძლება თავის სიცოცხლეში პირველად დაიბნა. თავისებურად სამართლიანი კაცი იყო და შეაქო სოსო, მაგრამ ენის ბორბიკით, დაბნეულად უჩჩია შემდეგისათვის გამონე ყოფილიყო და უფროსებისადმი პატივისცემა ჰქონიდა. ძლივს დაუცადა ზარის დარეკას. მასწავლებელი გავარდა სამასწავლებლოში.

რამდენი იყო უცნაური, მანიაკი, ჩინოვნიკი,  
უანდარმი, და რა ცოტა—გულკეთილი ხალხი, მცოდ-  
ნე, აღმზრდელი.

სასულიერო სასწავლებლის უცნაური ხალხის გა-  
ლერების შესახებად შეიძლება კიდევ დიმიტრი  
ხახუტაშვილიც დავუმატოთ. თავის კლასში არმიის  
დისტრიბლინა ჰქონდა შემოლებული. მისი პატარა  
მოწაფეები გაუნდრევლად უნდა მსხდარიყვნენ, ხე-  
ლები თავის წინ მერჩხე უნდა ჰქონდათ დაწყო-  
ბილი და მთელი გაკეთილის განმავლობაში ძა-  
წავლებლისათვის ეყურებინათ ოვალებში. მართლაც

ასე ისხდნენ მის წინაშე კლასში გაქვავებული, გაყინული ბავშვები. თუ ვინმე უდროოდ გამოცოცხლიდებოდა, მასწავლებელი სახაზავს ლაპტავდა თითებზე.

— ბავშვებო, ვინ არის თქვენი მასწავლებელი? ეკითხებოდა ის გაკვეთილზე პირველად მოსულ მოწიფებს.

არავინ იცის, ვინ არის მათი მასწავლებელი. შხოლოდ ორი გამბედავი, მეორე წელს დარჩენილი ბავშვი სწევს ხელს, ისინი მომართულ მანქანასავით ამბობენ მარცვალ-მარცვალ: „დიმიტრი ხა-ხუ-ტა-შვილი“.

— მართალია,— ადასტურებს და მოელი პირველი გაკვეთილის განმავლობაში აიძულებს ბავშვებს ერთად და ცალცალკე გაიჩეპირონ მისი სახელი: „დიმიტრი ხა-ხუ-ტა-შვილი“.

ლავროვი, როგორც ბუტირსკი, საქართველოსა და ქართველების მოძულე იყო. მან კლასში ჯარიმის ბილეთი შემოიღო ქართულად ლაპარაკისათვის. ვინც პირველად დაიწყებდა ქართულად ლაპარაკს, ის დებულობდა ჯარიმის ბილეთს, მაგრამ უკი მიმღებს არ უნდოდა კვლავ დაესაჯათ, ბილეთი უნდა გადაეცა შემდეგისათვის, რომელიც თავის დედანიშვი დაილაპარაკებდა. ამგვარი სისტემა ინსპექ-

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ტორმა ფროლოვმა გამოიგონა პირველად ცარი კორ სელის ლიცეიში, სადაც ჰუშკინი სწავლიდა, და ეს უანდარმული გამოგონება გადმოილო და გამოიყენებოდა. ლავროვს ისეთი პატივი სცეს მოწავეებმა, რომ ლირისც იყო: მათ ჩაუმტკრიეს ბინის ფანჯრის მინები.

უველა მასწავლებელი როდი იყო ბუტირსკისა და ლავროვისავით საძაგელი, ან ისეთი უცნაური, როგორც ხახუტაშვილი. სასწავლებლის ზედამხედველი ბელიაევი, ამბობენ, კეთილი და პატიოსანი კაცი იყო. მისი პორტრეტი 1894 წელს გადაღებული ფოტოსურათის ცენტრშია. შუშის სათვალეებიდან გამოიყურება ამობურთული, ბეცი კეთილთვალებიანი კაცი. ეკატერინე გრიგოლის ასული უკერავდა და ურეცხდა მას სარეცხს. ის ამბობდა, ბელიაევი თანმიგრინობდა და ახარებდა სოსოს წარმატებაო.

მოწაფეები სიამოვნებით იგონებენ აგრეთვე მასწავლებელ მგალობლივილს, ქართველ ხალხოსან მწერალს, მასწავლებელ დათოშვილს და საძაგლიშვილს, მაგრამ ამისთანა მასწავლებლები დიდხანს ვერ ძლებდენ სასწავლებელში, იმათ შესახებ თბილი კვალი რჩებოდა გულში და სიამოვნებით იგონებენ მოწაფეები ახლაც, ორმოცი-ორმოცდათი წლის შემდეგ.

თარგმანი ნიცო ნაკაშიძისა

## ვერა კიროვს მარი



მზის სხივებით მოელვარე  
ბადს ზურმუხტის კაბა მცვა;  
ადეგნებდი ბაგმეურ თვალებს  
მონავარდე პირველ მერცხალს.  
გაზაფხულის ლურჯი დიღა  
კამპამებდა, — მერე როგორ!  
გადასწიე ტოტი ფრთხილად  
და აკაცე ვარდის კოკორს.  
ცალქი სიო ყვავილნარში  
ათრთოლებდა მწვანე ფურცლებს,  
გახარებდა ცის კაშკაში

და ყვავილთა სიჭმალუცე.  
სისარული ფეთქდა ირგვლივ,  
ცა ელავდა უნაპირო  
და უწნავდა მწვანე გვირგვინს.  
ხის რტოები ძია კიროვს.  
მზე ეკიდა თქროს დერბად,  
იდექ როგორც თაიგული,  
და მერცხალი ჭიკშიკებდა:  
„გაზაფხული, გაზაფხული!“

იოსებ ლეხეშვილი





ფანჯარასთან, ბაღში, ტოტზე  
მთების ამბავს გალობს ჩიტი.  
თბილა, და მზით მოხიბლული  
იფურჩქნება ვარდის კვირტი.  
ქოლგებს ქვეყნის გასახარად  
ალუჩები ოეთრად შლიან...  
სიო ქრის, და ტებილად ვისმენ  
გაზაფხულის კაბის შრიალს.  
ვალებ ფანჯრებს, გაშლილ სიერცე  
რომ მოვავლო კარგად თვალი:  
გაზაფხული ღვივის ყველგან,  
ცის და მიწის კოხტა ქალი.  
სანაერდოდ გაუხდია  
ტყე, მინდორი, მთაც და ხევიც,  
ჩემს ბინაშიც შემოიჭრა  
ნიავით და ფრთების რევით.  
მიაფინა შუქი კედლებს,  
გაუსინჯა ფარდებს ძალა  
და წიგნებიც მაგიდაზე  
გადაფურცლა, გადაშალა.  
ბებერ კატას ეჩურჩულა,  
არ უსურვა დიდხანს წოლა,  
გადაავლო თვალი სარკეს  
და წარბები შეისწორა.  
მოტრიალდა, გაიცნა,  
აუთრთოლდა ბაგე ნაზი  
და იმლერა დღეგრძელობა  
ჩვენი ქვეყნის სილამაზის.  
ჩუმად, ჩუმად, ტყე ჩურჩულებს,  
ალუჩები კვირტებს შლიან...  
ყური უგდეთ გაზაფხულის  
სიმლერას და კაბის შრიალს!



# კირითი

„თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტიონმა და დომიციანე კეისარმა, სებასტიონის ძემ—იბერთა მეფეს მითრიდატს ფარსმანის ძეს, კეისარის მეგობარსა და რომელების მოსიყვარულე ერს ეს ზღუდე გაუმაგრეს.“

მცხეთის ზღუდეზე ამოჭრილი წარწერა (75 წ.)

## I

იბერიის ძევლი სატახტო ქალაქია მცხეთა.

მცხეთაში მოდიოდნენ სავაჭროდ რომაელები, ბერძნები, ინდოელები, ირანელები, სავსე იყო ბაზარი ნაირნაირი საქონლით.

მდინარე მტკვრის ნაპირზე იყო გაშენებული ქალაქი მცხეთა. ვინც პირველად მოვიდოდა მცხეთაში, მას ხიბლავდა ამ ქალაქის ბუნებრივი სიმაგრე. აქ იყრიდა თავს ოთხი მხრიდან მომავალი გზა. მცხეთიდან განაგებდა იბერიის მეფე ფარსმანი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლოს ცხოვრიბდა.

ერთხელ ფარსმან მეფეს დიდი ნადიმი ჰქონდა. ამ ნადიმზე ესწრებოდნენ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებიც. ნადიმის შემდეგ ისინი გამოვიდნენ, უცემროდნენ გრუზია ტყეებით შემოსილ მთებს და მტკვრის ნაპირებზე გაშლილ ველებს, საიდანაც საღამობით უბერავდა გრილი ნიავი. ერთმა უცხოელმა მეფეს უთხრა:

— დიდებულო მეფეო ფარსმან, თქვენს ქალაქს ირგვლივ კარგი სიმაგრენი ჰქონია.

ფარსმანმა გახედა მაღალ მთებს, ხელოვნურ ზღუდეთა კარიბჭეებს და მოახსენა:

— მტკრი იოლად ვერ შემოვა ჩვენს მცხეთაში. მარჯვნივ და მარცხნივ მთებია დარაჯად. ამ მთებზე გაუვალი ტყეა. მტკრი აღმოსავლეთიდან მტკვრის ხეობით თუ შემოვა, მაგრამ აქ კიდევ ხელოვნური სიმაგრე გვაქვს.

## II

ფარსმან მეფეს ქვეყანა იცნობდა. მისი სახელი შორს იყო გასული. ფარსმანს მეგობრობდნენ რომელები. სხვაც ბევრი ჰყავდა მოყვრები. არც მტრები ჰქლებია. იგი მტკიცედ იჯდა. მცხეთაში და განაგებდა თავის სამშობლოს — იბერიას.

ფარსმანს პირველი უოლის ხელში ჰყავდა ვაჟი როდამი. მან სიჭაბუქეშივე გაითქვა სახელი. მეტად შვენიერი, ლამაზი ჰაბუქი იყო, ვაჟაცური შეხედულობა ჰქონდა. სამშობლოში ყველა იცნობდა ამ მხარეჭიან და ღონიერ ვაჟკაცს. მამა მართავდა

სამეფოს, ხოლო შვილის საქმე ასპარეზობა იყო. ბევრჯერ მოუპოვებია გამარჯვება, ვაჟკაცობის სახელი.

ფარსმანის შინაური მტრები არ ისვენებდნენ, პირში აქებდნენ როდამს, ყურში აგრძებდნენ:

— სირცხვილი არაა, მოხუცი მამა სამეფოს მართავდეს, ხოლო ვისაც ჰყავა და მკლავი უჭრის, ის უბრალოდ ასპარეზობდეს!—ას ამხედრებდნენ შვილს მამის წინააღმდეგ ორგული მეზობლები.

ჭაბუკი როდამი შურით იქცებოდა, მაგრამ პირში მაქებარ მეზობლებს ლიმილით ეუბნებოდა:

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. უფროსი შვილი ვარ და მეფობა სად გამექცევა. უკვდავი ამ ქეყნად სხვა ვინ ყოფილა, რომ იბერიის მეფე ფარსმანი იქნეს,—ამ უკანასკნელ სიტყვებს იტყოდა ნოლმე გესლიანად და სახეზე ცივი ლიმილი რჩებოდა.

ფარსმან მეფის მტრები კარგად ხვდებოდნენ გრძნობის ამყოლი ჭაბუკის ზრახვებს და ფარისევლურად უდასტურებდნენ:

— მართალს ამბობ, როდამ! მოითქმენ და მოიგებ.

რა გაეწყობოდა, ითმენდა ჭაბუკი როდამიც, რომელსაც ჰყავა თუ არა, მელავი ხომ მაინც უჭრიდა. დღეებს დღეები მისდევდა. მეფობის ჲინით გატაცებულ ჭაბუქს კვირა წლებად ეჩვენებოდა. მისი ზრახვები არ იცოდა მოხუცა მიმამ და ყველაფერს უხვად აძლევდა ლონითა და სიმშვენიერით განთქმულ შვილს.

როდამი ექებდა ფარსმანზე განაწყენებულ პირს, განსაუთრებით ისეთს, რომელსაც ჯარებთან ექნებოდა კავშირი. იგი ასეთ პირთან აპირებდა იდუმალ ზრახვათა გამეღაენებას. მალე იპოვა ასეთი კაციც, რომლისთვისაც ფარსმან მეფეს დამტუქსავი ბრძანება ჰქონდა მიცემული პართიელებთან ბრძოლის გამო. როდამი დაუმეგობრდა ამ კაცს და სწორედ აქედან დაიწყო მისი სახელმწიფო ბრძოლი საქმიანობაც. მან მამისაგან დატუქსულ მხედარმთავარს შეუთვალა:

— თქვენს რჩეულ მოასპარეზებთან მსურს ისართა სროლამ.

საასპარეზო ადგილად დაუწიშნა მცხეთის აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი თვალუწედენელი მინდორი, სადაც ხშირად იმართებოდა შეჯიბრება ისრის სროლაში.

ეს ადგილი რაღაც ბუნებრივი თეატრივით იყო მოწყობილი. სამი მხრით ერტყა ტყიანი მთები. მტკვრის ნაპირს მიძყვებოდა უცნაური, ლამაზი ხეივანი. ბაღებში ხეხილი იდგა მრავალი ჯიშის. მაღალ ზეებზე ვაზი სურასავით იყო შემოხვეული და მტკვენებით დახუნძლული რტოები ძირს დაზნექილიყვნენ. ამ ხეივანზე გადიოდა გზატკეცილი რომიდან ინდოეთისაკენ.

მეფის შვილთან საასპარეზოდ გასვლა იბერიის ჯარების მეთაურს მოეწონა. იგი ფიქრობდა: ჩემზე განაწყენებულ ფარსმან მეფეს გაეხარდება, მის შვილთან რომ ვიასპარეზებო.

დანიშნეს დღე.

იბერიელი განთქმული მოასპარეზენი .გაშლილ მინდორზე მოგროვდნენ. მოასპარეზთა სანახად უთვალავი ხალხი იყო მოსული. ისინი დადიოდნენ ხეივნებსა და ტყის ნაპირებზე, საიდანაც გრილი ნაია შარიშურით მოდიოდა.

— ასპარეზობა და ისრის სროლა კარგია საწვრთნელი, — მოახსენა სარდალმა როდამს.

— დია რომ კარგი საქმეა, მაგრამ მოხუცი მამაჩემი არ ფიქრობს ამ საქმეზე. იბერიის უკეთესი მეფე უნდა...ხალხი დაძაბუნდა. ისე, როგორც ოვით მოხუცი მეფეა ძაბუნი, — თქვა უქმაყოფილო კილოთი მეფობაზე მეოცნებე როდამა და სარდალს შეხედა.

სარდალს გულმა უცნაურად დაუწყო ძერა. ჭაბუქის ზრახვანი მისუთის ნათელი იყო, რომ იგი ქვეყნის დაცვას ასპარეზობიდან იწყებდა.

ხანში შესული იყო ფარსმან მეფე, მაგრამ მისი ხმლის ტრიალი პართიელებს სულ ახსოვდათ, ოროდა

რომ თავი გაუჩეხა და მტრის ლაშქარს უკან დაახვინა. ეს თავისი თვალით ჰქონდა ნახული როდამის სიტყვებით გულაძერებულ სარდალს. მან

ფარსმან მეფისადმი ღალატი ერთი წუთითაც გაიტარა გულში, მაგრამ გრძნობისამყოლ ჭაბუქის მაიც მოახსენა:

— იბერიის რა უშავს, ღირსეული ტერებული ეზრდება...

### III

ფარსმანის ჯარების სარდალი აღმა იყო ასპარეზობის ხასიათზე, მაგრამ მოსულ მოასპარეზებს უკან ხომ არ გაიწვევდა?

გაიმართა ასპარეზობა...

ახმაურდა დაფი, ნაღარა და ზინზილაკი.

სარდლის პასუხით გახარებული როდამი ამაყად გამოვიდა საასპარეზო მინდორზე. მშევნიერი, მხარებეჭიანი ჭაბუქი მთელი მაყურებლების ყურადღებას იქცევდა.


ფარსმანის სარდალს თავისი განთქმული მოასპარეზენი გაფრთხილებული ჰყავდა:

— როდამი ასპარეზობის ტრფიალს რომ იტყვიან, იგია სწორედ, ზოგჯერ დაუთმეთ და გამარჯვებული გამოვიდეს.

მოასპარეზენი უფროსის სიტყვებს არ ივიწყებდნენ, მაგრამ მეფის შვილი ისე მოხდენილად ასპარეზობდა, რომ აღარვის სჭირდებოდა განგებ დათმობა. ისრების დიდი სროლი იყო. მართლაც რომ სანაქებო მოასპარეზე აღმოჩნდა როდამი. მოელ მინდორზე ერთიც არ იყო მისი ღირსეული მეტოქე.

გამარჯვებული როდამი ასპარეზობიდან გახარებული მოდიოდა, მოაგელვებდა ცხენს და მაღლა ეჭირა თავი. მისი საიდუმლო ზრახვების მცოდნე სარდალი ღრმად იყო ჩაფიქრებული, არ იცოდა, რა ეთქვა მეფისათვის, და ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა. იგი პირდაპირ შევიდა ფარსმან მეფესთან და მოახსენა მისი შვილის გუმანი. მამს არ მოეწონ შვილის ზრახვა და იმ წამსვე მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

ამ ასპარეზობამ როდამს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. ყველა მისი სისწოდელესა და ვაჟეაცობაზე ლაპარაკობდა. მეფემ ნაასპარეზალი შვილი მოიხმო და მოახსენა:





— ჯარი გვყავს და მქლავი გიჭრის. შენისთანა ვაჟკაცს მარტო ასპარეზობა რა სახელს უქმატებს. განა მეფობას შენ ვერ შეასრულები!

როდამს სახე გაუბრტყინდა. ფრიად ესიამოვნა მოხუცი მეფის რჩევა. მაშინ ამ ორიოდე სიტყვამ ისე შეაყვარა მამა, თითქოს მის წინააღმდეგ არასოდეს არაფერი არ ეთქვა, და დაუფიქრებლად შეტლადა:

— დიდო მამა და ბრძენ მეფე, დია რომ კარგი აზრი მოგსვლია, გიყვარს ხალხი, და ხალხის ერთგული მეფე სწორედ ამ დასკვნამდის უნდა მისულიყო!

მეფემ გულდასმით მოისმინა როდამის ჭაბუჭრი ალტაცებით, გულუბრყვილოდ წარმოთქმული სიტყვები, და უბრძანა:

— წადი, შენ სომხეთი უნდა დაიბყრო, იქ გამეფდები, და იბერიაც გაფართოვდება.

ასეთი პასუხი როდამისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. მას ეერც კი წარმოედგინა, თუ ფარსმანი თავის ლეიძლ მას მითრიდატს ულალტებდა, რომელიც სომხეთის მეფედ იყო. ამ მოულოდნელ წინააღმდებაზე როდამი სახტად დარჩა. დანერულმა ჭაბუჭმა რაღაც გულუბრყვილობით იკითხა:

— როგორ უნდა მოხდეს ამ გეგმის შესრულება? — წახვალ სტუმრად, და ეცადე, ხალხი აუჯანყენს აზრი მოეწონა როდამს, და კიდეც რომ არ

მოსწონებოდა, მეფეს იმ წერთას რაღაც ეტყოდა, როცა პირველ პასუხში მამას ბრძენი მეფე უწოდა. მაგრამ როდამი. მაინც მალე დარწმუნდა, რომ ბიძასთან მისი წასვლა იჭეს არ გამოიწვევდა. ხმა იყო გავარანილი. როდამსა და ფარსმანს შორის კეთილი განადინა არაა. იგი, როგორც პირველი ცოლის დუღული უნდოდა მოეშორებინა. ამ ურიგო მხარეშიანან

დამოკიდებულების ამბავი სომხეთის მეფის მითოლიტის კურამდისაც მისულიყო.

როდამი ბიძასთან წავიდა სტუმრად ჭანებულები ვერაგი განზრახვა ჰქონდა. მითრიდატმა მისულები ფრიად გულიბილად მიიღო, დიდი ნადიმი გამართა და ლალად ილხენდნენ. მითრიდატი ხშირად ახსენებდა თავის ძმას, იბერიის მეფეს ფარსმანს, აქებდა მის ვაჟკაცობას. მაგრამ სამაგიეროდ როდამი აძაგებდა:

— მამაჩემი ჩემი დედინაცვლის ჭყუით მართავს სამეფოს, ღვიძლი შემიძულა. მე ალარ შემეძლო მათთან დგომა და შენთან წამოველ, ბიძაჩემო.

მითრიდატს ტახტის მომავალი მემკვიდრე შეეცოდა, ძალიან შეწუხდა.

— მე ვინახულებ ჩემ ძმას და ოქეენს საქმეს კეთილად დავაბოლოვებ.

სამშობლოდან ვითომ გამოქცეულ როდამს განგებ უხაროდა მითრიდატის სიტყვები. იგი სწორედ ბიძასთან იყო სამეფო ტახტის დასაკავებლად წამოსული.

ნადიმზე მან გაიცნო სომხეთა დიდებულები და მათთან ფრიად მეგობრული კავშირი გააძა. სომხეთა დიდებულებსაც მოსწონდათ, ასეთი შესანიშნავი, მშენებით მოსილი თვალტანადი ჭაბუჭი რომ დაიმეგობრეს. ისინი დროს სულ ნადირობასა და ასპარეზებინაც ატარებდნენ. ამ დაუსარულებელ ნადიმობასა, ნადირობასა და ასპარეზებაში იბერიის მეფისწულსა და სომხეთა დიდებულთ შორის დიდი კეთილმეგობრული განწყობილება დამყარდა. ისინი თავიანთ გულისნადებს ერთმანეთს აღარ უმაღლენენ. სწორედ ამ დასახლოვების შედეგი იყო, რომ სომებს დიდებულთ როდამმა ჩააგონა:

„ბიძაჩემი ცუდად გეპყრობათ, უნდა ულალატოთო“, — და გაორგულებული პირები თავის გარშემო შემოიკრიბა.

როდამი როცა დარწმუნდა, რომ ნიადაგი აჯანყებისათვის მომზადებული იყო, ბიძას დაემშვიდობა და ვითომ შემდურებულ მამასთან შესარიგებლად წამოვიდა. მან ჩამოსვლისთანავე მოახსენა მამას:

— სომებს დიდებულებში დიდი უკამაყოფილება დავატრიალე მეფის წინააღმდეგ. საქმე მოწყობილია, მომეცი ჯარი, დავიძყრობ სომხეთს და გავმეფდები.

სომხეთში მართლაც არეულობა შეიქნა, და ფარსმანს მითრიდატისაგან გამოგზავნილმა კაცია მოახსენა:

— სომხეთში მეფის წინააღმდეგ ამბოხებები გაჩაღდა. თქვენ, როგორც ღვიძლ ძმასა და ერთგულს, გთხოვთ ჯარით დახმარებას.

მეფეს როდამის სიტყვები აქამდის არ სჯეროდა, მაგრამ როცა შეშინებული მითრიდატის კაცი მოუკიდა და დახმარებას თხოულობდა, ძალიან გაეხარდა, მას კი ნიშნისმოგებად შეუთვალა:

— ჩემ ძმას მოახსენე: მე რომ ალბანელებს ვებრძოდი, რომაელების მოხმობა შენ რად დამიშალეთქო?

მოციქული ფარსმანმა ამ სიტუაციით გააბრუნა უკან, იბერიის ჯარი როდამს გადასცა და შმის ქვეყნის ასაოხრებლად გააგზავნა. მითრიდატი იბერიის ჯარებს სამოყვროდ ელოდა, და მტრად კი მოადგნენ. გაოცდა მეფე, დატრიალდა, რაღაც სამზადისს შეუდგა, მაგრამ რაღას მოასწრებდა, როცა მტრად მოსული შმისწული კარჩე იდგა. მითრიდატი გაიქცა და გარნის ციხეს შეაფარა ოვი, რომელიც შესანიშნავ სიმაგრეს წარმოადგენდა. ციხეს მოხდენილი მდებარეობა ჰქონდა, ძნელად მისავალი იყო. ამ ციხეში მეფეს რომაელების ჯარი იცავდა.

როდამმა ბიძასთან სტუმრობის დროს ყოველი გზა და მისავალი შეისწავლა, მაგრამ გარნის ციხის აღება მაინც გაუძნელდა.

ბიძა ციხეში იყო დამწყვდეული და შმისწული გარედან უტრიალებდა. ციხეს ალყა შემოარტყეს იბერიელებმა. გადიოდა ხანი, სიმაგრეს კი ვერ იღებდნენ. ბოლოს როდამმა ციხის შცველი რომაელის პირით შეუთვალი ბიძას:

— ახლა იბერიელები შენებ ძლიერნი ვართ, მაგრამ ჩენს ნათესაობას არ ვივიწყებთ და ზავშე თანახმა გაგვიძლიო.

მაგრამ მითრიდატი ასე ითლად როდი თომბდა მეფობას, ზავშე უარს ამბობდა და ფარსმანს შეუთვალა ქართველი ჯარი სომხეთიდან გაიყანეო.

ფარსმანი ვითომ თანახმა იყო, მაგრამ თანაც პასუხს აგვიანებდა, როდამთან კი კაცს კაცზე იგზავნიდა და უთვლიდა:

— ციხის აღებას ძალიან აგვიანებ. შეიჭრ და მეფე ტახტიდან გადმოაგდე!

გარნის ციხე ისე დიდხანს იყო იბერიელებისაგან ალყაშემორტყმული, რომ ციხის შცველი რომაელებიც აჯანყდნენ: ციხის დაცვა აღარ შეგვიძლია.

შეშინებულმა მითრიდატმა როდამს შეუთვალა:

— ვიცი, რომ ძალა შენს ხელშია. თანახმა ვარ მოგებარაკო, მაგრამ სიტყვა მომეცი, რომ ბიძას არაფერს აენებ.

გახარებულმა როდამმა მტკიცედ შეპუიცა:

(დასასრული იქნება)



— ასე როგორ გავკალნიერდები, რომ მანიჩემის ქმას ხელი ვყო.

მითრიდატი ფიცს ენდო და როდამთან მივიდა. შმისწულს პირობა და ფიცი აღარ გაახსენდა, მეფე შეიბურო, მსახურებს ბორკილები გააკეთებინა ფეხებზე და მითრიდატის მკაცრი მმართველობით უკმაყოფილო ხალხი ირგვლივ შემოიკრიბა. ამავე დროს როდამმა ფარსმანისაგან საიდუმლო ბრძანება მიიღო: მითრიდატი უნდა მოეკლათ. ბრძანება მალე შეარულეს.

მითრიდატის ვერაგულმა მყვლელობამ გააბრაზა რომაელები და ფარსმანის ჯარის გაყვანა მოითხოვეს სომხეთიდან. ფარსმან მეფე არც მათ მოთხოვნას უგდებდა ყურს.

როდამი ცოტახანს იყო მეფედ სომხეთში და ქვლავ იბერიაში დაბრუნდა. მამას ახლა ძალიან ეშინოდა მისი. როდამმა უკვე ათასნაირი გზა და ხერხი იცოდა მეფობის ძიებისათვის, ამიტომ ფარსმანმა როდამი თავის მსახურთ მოაკვლევინა. ასე გაიკეთა ფარსმანმა ორი საქმე: შინაური მტერიც მოაშორა და რომაელებსაც ერთგულება დაუმტკიცა.



# სომხეთის ფლი აბოსანი



აღბათ, ბევრ თქვენგანს წაუკითხავს ლამაზი ენით დაწერილი პატარა მოთხოვა „გიქორი“. კითხვისას კიდეც ატირებულხართ და დიდხანს გიფიქრიათ თითისტოლა სოფლელ ბიჭუნაზე, გლეხეც ჰამბოს საყვარელ ვაჟზე.

ძალიან აღელვებს მკითხველს სომხეთის გამოჩენილი მწერლისა და პოეტის ოვანეს თუმანიანის ნაწარმოებები. გატაცებით კითხულობენ ახლაც ბავშვები და მოზრდილები მის „მოჯამაგირესა და ბატონს“, „გულად ნაზარას“, „ანუშს“, „ერთ წვეთ თაფლს“, „კატასა და ძალლს“...

შესანიშნავი მგლნის ნაწარმოებებში დიდი სითბო და გრძნობაა, ჩანს ცხოვრების ღრმა ცოდნა.

ეს იმიტომ, რომ ოვანესი თავიდანვე კულაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა, თავისებურად ითასებდა მოვლენებს, არ მოსწონდა ბევრი რამ...

ჯერ კიდევ ექვსი - შეიძი წლის ბიჭმა გამოიჩინა არაჩეულებივით თვისებები: ადვილად შეეძლო გამოეთქვა პატარ-პატარა შაირები. მაშინ იგი სწავლობდა ერთ დიაკვანთან, თავის სოფელ დესტი, საღაც 1869 წელს დაიბადა მომავალი მგლნი. დია-

კვანს ეჯავრებოდა მკვირცხლი და ცნობისმოყვარე ბაეშვი და ხშირად სცემდა მას. საძგელი მასწავლებელი აიძულებდა მოწაფეს ათასგვარი სისულელე გაეზეპირებინა. ყოველდღე.

ამნაირად შეისწავლა ოვანესმა ანბანი თავის სამშობლო სოფელში. 1879 წელს, ათი წლის ბიჭი მშობლებმა ჯალალოლლის სკოლაში გადაიყვანეს.

აქ სულ მაღვე გამოიჩინა თავი: სწავლობდა ჭარმატებით, თხზავდა შაირებსა და ლექსებს. მოწაფეები ძალიან დაუახლოვდნენ მას; კიდეც ამაყობდნენ კეთილი და ნიკიერი მეგობრით.

ამიტომ მათ გული დასწუყდათ, როცა სამი წლის შემდეგ გაიგეს, რომ საყვარელი ამხანაგი თბილისში, გადატყვდათ, ნერსესიანის სახელობის სასულიერო სემინარიაში. განშორების ჟამს ბევრმა მოწყენილობა უგრძნო, მაგრამ რა გაეწყობოდა, ოვანესი თბილისში უნდა წასულიყო.

სასულიერო სემინარიაში სიხარულით მიიღეს, ფიქრობდნენ: თუმანიანი მეტად ნიკიერია, თან მღვდლის შვილია და მისგან, უთუოდ, რელიგიის დიდი მსახური გამოვაო. მშობლების სურვილიც ეს იყო: უნდღელათ ოვანესი მღვდელი გამხდარიყო.

მაგრამ მათი შეიღო სრულიადაც არ ფიქრობდა ამაზე. მას სულ სხვა რამ აინტერესებდა, აინტერესებდა მწერლობა, ლიტერატურა, ხალხის ცხოვრება... დღედაღამ ლექსებზე ოცნებობდა, ოცნებობდა თავისი ნაწარმოებების ბეზზე.

ერთხელ, ჩეირდეტი წლის ოვანესმა დაწერა შესანიშნავი ლექსი „ძალლი და კატა“. რამდენიმეჯერ შეასწორა. წაიკითხა და ძალიან მოეწონა. შემდეგ რედაქტირაში წაიღო.

შემრე დღიდან ვერ ისვენებდა ახალი ამბის მოლოდინში.

— აი, ფიქრობდა იგი, საცაა ფოსტალონი მოვა და მოიტანს გაზეთს, რომელშიაც ჩემ ლექსი იქნება.

უჩვეულო სიხარულმა მოიცავა ჭაბუკი ოვანესი, როცა თავისი „ძალლი და კატა“ დაბეჭდილი ნახა. რამდენიმე დღის შემდეგ მან კვლავ დაწერა ახალი შესანიშნავი ნაწარმოები „უბედური ჟაჭრები“. ამას კი მოჰყვა პოემა „მარო“, „გუთნის სიმღერა“, „გაზაფხულის საღამო სოფლად“ და სხვ.

მაღვე ოვანეს თუმანიანმა სახელი გაითქვა. იგი გახდა კულაზე უფრო პოპულარული და საყვარელი პოეტი სომხეთში.

ხოლო როდესაც ერთ წიგნად გამოიცა მისი ლექსები და პოემები (მოსკოვში, 1890 წელს), ლიტერატურულმა საზოგადოებამ თუმანიანი ნიკიერ პოეტად აღიარა. შემდეგ მკითხველები ხშირად ნახულობდნენ საყვარელი პოეტის ახალ-ახალ ნაწარმო-

ებს სიმშვერინი მოხიბლულნი სამართლიანი ქვებდნენ ავტორს.

ფართო საზოგადოებრივობას ოვანესი არა მარტო იძირომ უყვარდა, რომ იგი იყო შესანიშნავი პოეტი და მწერალი, არამედ იმიტომაც, რომ თუმანიანი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1905—1906 წლებში მან იმოგზაურა სომხეთისა და ბორჩალოს რაიონებში, სადაც მაშინ სომხეთა თაობა ხოცა-ქლეტა იყო გაჩაღებული. ამ საზიღლობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ივანეს თუმანიანმა. მან გამოააშკარავა მეფის ბარბაროსული მისწრაფებანი ამ უმაგალითო ხოცა-ქლეტაში.

ასეთი მოღვაწეობის გამო 1908 წელს კიდევ დააპატიმრეს პოეტი და მეტების ციხეში ჩასვეს. ციხეში ივანესი კვლავ განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას. აქ დაწერა „ერთი წვეთი თაფლი“ და სხვა ნაწარმოები.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ 1911 წელს კვლავ ხელმეორედ დაპატიმრეს და პეტერბურგს გაგზავნეს გასასამართლებლად.

1912 წელს თუმანიანი ისევ თბილისში ჩამოვიდა და აქ დაარსა „სომხე მწერალთა საზოგადოება“. საზოგადოებაში კითხულობდნენ ლექციებს სომხური და ქართული ლიტერატურის შესახებ, ხშირად გამოდი-

ოდნენ სომხეთ საზოგადოების წინაშე ქართველი მწერლები. თუმანიანი თავები მოდებით იბრძოდა ამიერკავკასიის მოძმე ერების დამეგობრებისათვის. ლექცი „საქართველოს პოეტებს“ მიძღვნილი მეგობრობისადმი:

„დავრჩეთ ქურუმნო ძმად და მეგობრად,  
შევმნათ ოჯახი ამხანგური  
და ხელოვნების ტაძრისთვის მშეობრად  
შველამ მივზიდოთ თითო აგური“.

ივანეს თუმანიანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამიერკავკასიის ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. იგი მოესწრო თავისუფალ სამშობლოს, გამარჯვებულ მუშებთან და გლეხებთან ერთად შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას.

მაგრამ დიდხანს არ დასცალდა სასიქადულო მეოსანს და საზოგადო მოღვაწეს ნაყოფიერი მუშაობის წარმოება: კიბოს ვადმყოფობა მოსვენებას არ აძლევდა მას. 1923 წელს მოსკოვს გაემზავრა სამყურნალო. მაგრამ იქ ვადმყოფობამ უფრო დარია ხელი და იმავე წელს, მარტის ოცდასამს, გარდაცვალა დიდი სომები პოეტი.

საყვარელი მეოსანის ცხედარი თბილის ჩამოსვენეს და სომხე მწერალთა პანორამში დაკრძალეს.



## ოვანეს თუმანიანი

ნაკადულო, ნაკადულო,  
რატომ ჩქარობ, რატომ,  
რად გარბარარ უფრე სწრაფად,  
რისთვის მტოვებ მარტო,  
შეჩერდი და ვითამაშოთ  
ამ ხეების ახლოს.

არა, არა, ჩემი ქარგო,  
მე წისქვილი მელის,  
რომ ავაგსო წყლის ჩქრიალით  
ღარი ოდნავ სევერი,  
ციბრუტივით დატრიალდეს  
იქ ბორბალიც ნელი.

მე შელიან სიხარულით,  
აქ რად ვიყო უქმად,  
წყურვილისგან საქონელი  
დაოსილი სუნთქვას,  
გადამჭერარ ყვავილები  
და ხეობა სულ მთლად.

ჰა, მშვიდობით, ჩემო კარგო,  
მივიჩარი ამ გზით,  
მივიჩარი დატვირთული  
მე ათასი საქმით,  
მოსვენება სულ არა მაქვს  
იმ შორეულ ზღვამდის.

თარგმანი სანდრო შლევისა

# Համբայ Քորաթօթլը

|1847 - 1898|



პოეტი გიორგი ჭალადიდელი (გიორგი მაქსიმეს  
ძე ქოჩაკიძე) „თერგდალეულ“ მწერალთა ჯგუფს ეკუ-  
თვნის. ის იყო მიმღევარი მეცხრამეტე საუკუნის  
დიდი პოეტების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერე-  
თლისა.

გიორგი ჭალადიდელის შესანიშნავი ლექსი „მო-  
გონება“ (მახსოვს, პირველად სასწავლებელში „...)  
ორმოცი წლის გამავლობაში გამუდმებით იძეჭდე-  
ბოდა იყობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ და  
მას გულმოდგინედ სწავლობდა მაშინდელი ახალი  
თაობა აღნიშული პოეტის მეორე ლექსი „ფაცხა“  
(„მიყვარს ფაცხა მე მეუღლე...“) სახალხო სიმღე-  
რაზე გაღიაქცა და მას ღიღი სიყვარულით მღეროდა  
ხალხი საქართველოს ყოველ კუთხეში.

გიორგი ჭალავაძელი დაიბადა 1847 წლის 23  
აპრილს სოფ. ფერსათში, იმერეთში, დედის სოფელ-  
ში. პოეტის მამა იყო ჭალავაძის მებატონე. 1859  
წელს მამამ გიორგი ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში  
მიაბარა. 1869 წელს პოეტმა დამთვრი სასწავ-  
ლებელი და იმავე წლის სეტემბერში პეტერბურგს  
წავიდა სწავლის განსაკრძობად, მავრამ ხელმოკლე-  
ობის გამო მიზანს ვერ მიაღწია. 1870 წელს რუსე-  
თში გიორგიმ სამხედრო სამსახური დაიწყო. შემ-  
დეგ მან იქ ოფიცირის ხარისხი მიიღო.

გიორგი ჭალადიდელმა ლექსების ბეჭდვა დაიწყო სერგეი მესხის გაზეთ „ღორებაში“. შემდეგ მისი მხატვრული ნაწარმოებები იგენდებოდა „სასაფლაო გაზეთში“, „ივერიაში“, „კრებულში“, „მამებში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

1913 წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოვიდა

გ. ჭალადიდელის ნაწერები. ამ წიგნის გამოცვლის  
გამო მრავალი წერილი დაიტექდა იმდროინდელ  
პრესაში გ. ჭალადიდელის პოეზის შესახებ.

გ. ჭალადიდელი, როგორც სხვა „თერჯდალეული“ მწერლები, თავის ლექსებში თავს დასტრიიალებდა ხალხსა და სამშობლოს, რომელიც ცარიზმის დროს გათელილი იყო. ეს გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, მან ბევრ თავის საუკეთესო ლექსში გამოხატა. ამ სიყვარულის მატარებელია შემდეგი ლექსები და პოემები: „სიმღერა გადახვეწილისა“, „სიზმარი“, „აღლავერდი“, „სიმღერა“, „უბედურწინი“, „ყურძნის კრეფა“, „გორდის მთაზე“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „მოგონება“. ამ ლექსს დიდი სიყვარულით ჰეპირობდა მაშინდელი ახალგაზრდობა:

„მახსოვეს, პირეულად სასწავლებელში  
წასაყვანადა რომ მომამზადეს,  
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში  
და შორსა გზასა მე გამამზავრეს.  
ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,  
ნაჩვევ ბალებსაც ვეთხოვებოდი,  
დაღონებული მწარედ ვტიროდი,  
მაგრამ არავის ვიბრალებოდი...“

პოეტი სწავლისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდობას და თავისი სამშობლოსადმი სიყვარულს უღვიძებდა მეფის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ.

გიორგი ჭალაძილელის სიყვარული მშრომელთ და  
ტვირთმმამდეთა მიმართ უსაზღვრო იყო. მან მშრომე-  
ლი ხალხის მდგომარეობა-გამოხატა თავის ლექსებ-  
ში: „დურგალი“, „ქება შრომას“, „ფაცა“ და სხვა.  
ეს ლექსი მეტად გავრცელებული იყო ჩვენში:

„მიყვარს ფაცხა მე შეგრული.  
მთა-კორტოხზე წარმოდგმული,  
უფიცრო და უყავარო,  
წვრილი წნელით ჩახლართული“.

გიორგი ჭალადიდელი გარდაიცვალა 1898 წლის  
პირველ აპრილს ქ. მინსკში, საღაც იმ დროს სამ-  
ხედრო სამსახურში იყო. გარდაცვალებიდან მეორე  
თვეს პოეტი საქართველოში ჩამოასვენეს და სოფ.  
ჭალადიდში დატრანსლირდა. პოეტის უკანასკნელი სურ-  
ვილი იყო: „გამაცოცხლე, მანა ტრე, თუნდ საფ-  
ლავში ვდნებოდე, აყვავებულ სამშობლოს ოღონდ  
მოვესწრებოდე“. ამ სურვილის განხორციელება  
შემოლოდ ჩვენს პირობებში შეიქნა შესაძლებელი.

# სიმღერა ჟიალინგ

სიტყვები ლიდია მეგრელიძისა.

ମୁଁରିବା ତ. ଶାକେନ୍ଦ୍ରଚାର୍ଯ୍ୟଙ୍କୁ ପାଇଁ



## Tempo di Marcia.

Handwritten musical score for two voices (Soprano and Alto) and piano. The score consists of eight staves of music. The vocal parts are in common time, with the soprano in G major and the alto in F major. The piano part is in common time, with the right hand in G major and the left hand in F major. The vocal parts begin with a dynamic of *f*. The lyrics, written in Georgian, are as follows:


1. ბი-ლო-დო გუ-ვა-ნი ჩე-რე-ს სა-ლე-ს  
2. სი-ნა-მუ-სა-ხე-ვე-ბი გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
3. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
4. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
5. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
6. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
7. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს  
8. რე-ს ს - ლე-ს გუ-ში გუ-ში ს - ნა-ვ - რე-ს

The score concludes with a *Fine.*

1. የጉዳንዱ ሚኒስቴር አዲስ  
መግለጫና የሚከተሉት ደንብ ነው፡፡

2. የፌዴራል የሚከተሉት ደንብ ነው፡፡

## რამდენი ნახატია



თქვენ ამ ჩარჩოში ხედავთ შავი ნაზების ხვეულებს. ერთი შეხედვით ეს თითქოს უბრალო ნაჯლაბნია, მაგრამ არა! აბა, დააკვირდით! თქვენ აქ მრავალ ნახატს შენიშვნავთ: ცხოველებს, სასწავლო ნივთებს, სხვადასხვა იარაღებს, ხილს, ყვავილს და სხვა....

მაშ აღნუსხეთ სულ რადარა და რამდენი ნახატია ამ ჩარჩოში მოთავსებული.